ხელშეკრულება T- 034-20

ქ. თბილისი 29 იანვარი, 2020 წელი.

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ლაშა ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯეოტურანი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის პაატა რუსაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT200000475** ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: შენობა-ნაგებობების სანიტარიული მომსახურებები (შემდგომში „მომსახურება“), CPV კოდი: 90400000.

1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.3. შესყიდვის ობიექტის დასახელება და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართ #1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **20000.00** (ოციათასი) ლარს.

2.2. პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს **1`433.50** (ერთიათას ოთხასოცდაცამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება (მომსახურების გაწევა) უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით, შენსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება (მომსახურების გაწევა) განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს ვადაში (თბილისის მაშტაბით) და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მასშტაბით (მოთხოვნიდან 5 კალენდარულ დღეში) გამოცხადდეს დაზიანების ადგილზე და განახორციელოს საჭირო მომსახურება.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით;

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტის“ **სამეურნეო სამსახურის უფროსი გურამ კაიშაური.**

4.3. ხელშეკრულების 6.4. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ <u>ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე</u> გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში;

5.4. საავანსო ანგარიშწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

6.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის

დაუყოვნებლივ გამოსწორება;

6.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

6.4.2. უზრუნველყოს ქ. თბილისის ტერიტორიაზე შემსყიდველი ორგანიზაციის (შპს „საქართველოს ფოსტა“) საკუთრებაში არსებული სერვისცენტრებში საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა და ტექნიკურ მომსახურება და საქართველოს მასშტაბით არსებულ სერვისცენტრებში ასენიზაციის მანქანით საკანალიზაციო ჭების წმენდა საჭიროებიდან გამომდინარე, მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

6.4.3. უზრუნველყოს საკანალიზაციო ქსელის დაზიანების შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 წუთში გამოცხადდეს დაზიანების ადგილზე. (მოთხოვნის შებამისად აღნიშნული მომსახურების განხორციელება არასამუშაო დღეებშიც).

6.4.4. უზრუნველყოს პრეისკურანტის (დანართი1) მიხედვით მომსახურების გაწევა თბილისის მასშტაბით გამოძახებიდან უმოკლეს დროში (არაუმეტეს 24 საათი), კვირის ნებისმიერ დღეს. მომსახურების განხორციელების პროცეში, მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ აღმოფხვრას აღნიშნული პრობლემა.

6.4.5. შესყიდვის ობიექტის ჩაბარებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოსწორება (გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება) არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით;

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით;

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.5. 7.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მოითხოვოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20% -ის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მოითხოვოს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკირსი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „ჯეოტურანი“
ს/კ: 203836233	ს/კ: 412670499
მის: ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2	მის: ქ.თბილისი, აკ.ბელიაშვილის ქ.132
ტელ: 224 09 09	ტელ: +995568600308
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის # GE13BG0000000123286800	ანგარიშის # GE60TB7930236020100005
ლაშა ჯაფარიძე	პაატა რუსაძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

დანართი №

პრეისკურანტი

#	მომსახურების დასახელება	მომსახურების ფასი
1	გაჭედილი კანალიზაციის მილის გაწმენდა შენობაში	100.00
2	გაჭედილი ტრაპის გაწმენდა	90.00
3	„ლეჟაკის“ გაწმენდა საკანალიზაციო ჭის მონაკვეთამდე	130.00
4	გაჭედილი წყლის მილების გაწმენდა შენობაში	90.00
5	საკანალიზაციო ქსელის გარეცხვა წყლის ჭავლის საშალებით 1გრძ	29.50
6	საკანალიზაციო ჭიდან ჭამდე მილის გაწმენდა	170.00
7	საკანალიზაციო ჭის ამოწმენდა ხელით	100.00
8	შენობაში მყოფი შემომავალი წყლის ცენტრალური პლასტმასის ვენტილის(ზომა ნახევარი დუიმი) შეცვლა	50.00
9	შენობაში მყოფი შემომავალი წყლის ცენტრალური რკინის ვენტილის(ზომა ნახევარი დუიმი) შეცვლა	100.00
10	გაჭედილი შიდა საკანალიზაციო სტაიაკის გაწმენდა	120.00
11	გაჭედილი შიდა ცენტრალური წყლის სტაიაკის გაწმენდა	100.00
12	.საკანალიზაციო ჭის ამოტვირთვა ასენიზაციის მანქანით	354.00
	სულ ჯამი:	1433.50

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს ფოსტა“

ლაშა ჯაფარიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „ჯეოტურანი“

პაატა რუსაძე
დირექტორი